დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 08 ივლისის N09 სხდომის ოქმით

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის არჩევის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს წესი არეგულირებს სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში (შემდგომში - კონსერვატორია) რექტორის არჩევნების ჩატარების წესს, საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებას და საქმიანობას.

2. კონსერვატორიაში რექტორის არჩევნები ტარდება ამ წესით, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონითა და კონსერვატორიის წესდებით.

მუხლი 2. საარჩევნო კომისია და მისი უფლებამოსილება

1. კონსერვატორიის რექტორის არჩევნების ჩატარებასა და კენჭისყრის ფარულობას უზრუნველყოფს საარჩევნო კომისია.

2. საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა განისაზღვრება აკადემიური საბჭოს მიერ. საარჩევნო კომისიის წევრად შეიძლება მოწვეულ იქნეს საზოგადოების წარმომადგენელი.

3. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და კომისიის მდივანს, კომისიის პირველივე სხდომაზე, წევრობის უფლებამოსილების ვადით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით ირჩევს საარჩევნო კომისია.

4. საარჩევნო კომისია უფლებამოსილია მიიღოს ყველა გადაწყვეტილება არჩევნების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით და ეს გადაწყვეტილებები გააფორმოს შესაბამისი ოქმით.

5. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებები მიიღება განკარგულების სახით.

6. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე უძღვება კომისიის სხდომებს, კომისიის მდივანთან ერთად ხელს აწერს სხდომის ოქმებს, კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

7. რექტორობის კანდიდატების რეგისტრაციაში გატარების უფლებამოსილება აქვთ კონსერვატორიის საარჩევნო კომისიის ყველა წევრს.

8. აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრული, კანდიდატთა რეგისტრაციაში გატარების ვადების დასრულებისთანავე, საარჩევნო კომისია აკადემიურ საბჭოს გადაუგზავნის თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას.

მუხლი 3. რექტორის არჩევნების გამოცხადება

1. რექტორის არჩევნებს ნიშნავს კონსერვატორიის აკადემიური საბჭო დადგენილებით.

2. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას კონსერვატორიის აკადემიური საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. რეგისტრაცია გრძელდება არანაკლებ 5 და არაუმეტეს 10 დღისა. არჩევნები ტარდება კანდიდატების რეგისტრაციის დასრულებიდან არანაკლებ 1 დღის ვადაში.

3. განცხადება კონსერვატორიის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ უნდა განთავსდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე, გამოქვეყნდეს გაზეთში და რექტორობის კანდიდატების რეგისტრაციის შეწყვეტამდე გამოიკრას კონსერვატორიაში ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

4. კონსერვატორიის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებაში აღინიშნება კანდიდატებისადმი მოთხოვნები, რეგისტრაციის დაწყების თარიღი, განცხადებების მიღების ბოლო ვადა, წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა და რექტორის არჩევნების ჩატარების თარიღი.

მუხლი 4. კანდიდატთა რეგისტრაცია

1. რექტორობის კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ განცხადების მიღება ხორციელდება კონსერვატორიის საარჩევნო კომისიაში.

2. რეგისტრაციაში გატარების დროს კანდიდატმა უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, წესდებითა და აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

3. კონსერვატორიის საარჩევნო კომისიის უარი კანდიდატის რეგისტრაციაში გატარებაზე დასაბუთებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით. რეგისტრაციაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება თუ რა ხარვეზს შეიცავს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია 2 დღის ვადაში.

4. კანდიდატი უფლებამოსილია რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს მისი გაცნობიდან 1 დღის ვადაში.

5. საჩივართან დაკავშირებით საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს 1 დღის ვადაში.

მუხლი 5. რექტორის არჩევა

1. კანდიდატების რეგისტრაციის დასრულებიდან არანაკლებ 1 დღის ვადაში იმართება რექტორის არჩევნები.
2. კანდიდატები რექტორის არჩევნების ჩატარებამდე (კენჭისყრის დღეს) აკადემიურ საბჭოს წარუდგენენ სამოქმედო გეგმას.

3. რექტორის არჩევნებამდე კანდიდატურის შერჩევისას აკადემიური საბჭო აფასებს თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას.

4. რექტორი აირჩევა აკადემიური საბჭოს მიერ ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

5. რექტორი აირჩევა 4 წლის ვადით.

6. რექტორად შეიძლება არჩეულ იქნეს აკადემიური უმაღლესი სამუსიკო განათლების მქონე პირი, რომელსაც გააჩნია სპეციალობით მუშაობის 4 წლიანი სტაჟი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და აკმაყოფილებს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, კონსერვატორიის წესდებით, წინამდებარე წესითა და აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

7. რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე რექტორის ვერარჩევის შემთხვევაში აკადემიური საბჭო 14 დღის ვადაში, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს არაუმეტეს 6 თვის ვადით. ერთი და იგივე პირი რექტორის მოვალეობის შემსრულებლად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ.

მუხლი 6. წინასაარჩენო კამპანია (აგიტაცია)

1. რექტორობის კანდიდატს უფლება აქვს ჩაატაროს წინასაარჩენო კამპანია. წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ყველა კანდიდატი სარგებლობს თანაბარი უფლებით.

2. არჩევნების დღეს იკრძალება კამპანიისა და აგიტაციის წარმოება.

3. წინასაარჩევნო კამპანიასა და აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვთ:

ა) საარჩევნო კომისიის წევრებს;

ბ) ადმინისტრაციულ პერსონალს.

4. წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები ამომრჩევლებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები), ბეჭდური სააგიტაციო მასალების გამოცემა-გავრცელებით, წინასაარჩევნო მოწოდებების, ფურცლებისა და ფოტომასალის დამზადებისა და გავრცელების გზით, აგრეთვე კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებით. აკრძალულია მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა.

5. წინასაარჩევნო აგიტაციამ და კამპანიამ არ უნდა შეუშალოს ხელი სასწავლო პროცესს.

6. ყველა კანდიდატისათვის კონსერვატორიის ფართით სარგებლობა უნდა იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი. კონსერვატორიის ადმინისტრაციულ პერსონალს უფლება არა აქვს დაუსაბუთებელი უარი თქვას წინასაარჩევნო კამპანიისა და აგიტაციისათვის აუდიტორიებით, დარბაზებითა და უნივერსიტეტის სხვა ქონებით სარგებლობისათვის.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი ფორმის უარი მისი მიღებიდან 1 დღის ვადაში საჩივრდება კონსერვატორიის საარჩევნო კომისიაში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 1 დღის ვადაში.

მუხლი 7. საარჩევნო სიები

1. საარჩევნო სიას განკარგულებით ამტკიცებს საარჩევნო კომისია.

2. საარჩევნო სიაში შეიტანება ამომრჩევლის (აკადემიური საბჭოს წევრის) შესახებ შემდეგი მონაცემები:

ა) სახელი და გვარი;

ბ) პირადი ნომერი.

მუხლი 8. საარჩევნო ბიულეტენი და არჩევნების პროცედურა

1. საარჩევნო ბიულეტენის ფორმას განკარგულებით ამტკიცებს საარჩევნო კომისია.

2. თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა პირის ნაცვლად.

3. ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სათანადო აღნიშვნით და საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსებით.

4. საარჩევნო ბიულეტენზე აღინიშნება:

ა) ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა და სახელწოდება;

ბ) არჩევნების დასახელება და არჩევნების ჩატარების თარიღი;

გ) ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი;

დ) კომისიის წევრების ხელმოწერა;

ე) კონსერვატორიის ბეჭდი.

5. საარჩევნო ბიულეტენი გაიცემა პირზე, მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში.

6. კენჭისყრის დღეს ამომრჩეველი საარჩევნო კომისიის რეგისტრატორისაგან იღებს შესაბამის საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით. ხმის მიცემა ხორციელდება სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კაბინაში. მას შემდეგ, რაც ამომრჩეველი წრიულად შემოხაზავს მისთვის სასურველ კანდიდატურას, აგდებს საარჩევნო ბიულეტენს საარჩევნო ყუთში. კაბინად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ნებისმიერი განცალკევებული ადგილი, სადაც ხმის მიცემის ფარულობა დაცული იქნება.

7. დაწესებულება არჩევნების ჩასატარებლად უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიის აღჭურვას საარჩევნო ყუთით.

8. საარჩევნო ყუთზე თვალსაჩინო ფორმით აღინიშნება, თუ რომელი არჩევნებისთვისაა განკუთვნილი.

მუხლი 9. არჩევნების ორგანიზება

1. არჩევნები ტარდება აკადემიური საბჭოს მიერ დანიშნულ დღეს.
2. კონსერვატორია უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიისათვის შესაბამისი ოთახის გამოყოფას.
3. კონსერვატორია უზრუნველყოფს შექმნას ყველა პირობა იმისათვის, რომ საარჩევნო კომისიას შეეძლოს საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება.

მუხლი 10. არჩევნების შედეგების შეჯამება

1. კენჭისყრა იწყება არჩევნების დღეს, აკადემიურ საბჭოში კანდიდატების მიერ სამოქმედო გეგმის წარდგენის დასრულებისთანავე.

2. კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო სიებში ხელმოწერების მიხედვით არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას, რაც ფიქსირდება არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში.

3. არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობის დათვლის შემდეგ იხსნება საარჩევნო ყუთი და საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო ბიულეტენებს.

4. საარჩევნო ბიულეტენი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა ბათილად, თუ:

ა) არ არის შემოხაზული არც ერთი კანდიდატი;
ბ) შემოხაზულია ერთზე მეტი კანდიდატი;
გ) შეუძლებელია იმის დადგენა, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა.
დ) საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული არ არის კომისიის წევრთა ხელმოწერითა და კონსერვატორიის ბეჭდით;

5. კენჭისყრისა და არჩევნების შედეგები აისახება საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში.

6. არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმის ფორმას განკარგულებით ამტკიცებს საარჩევნო კომისია.

7. არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი ივსება ხმების დათვლისთანავე, რომელშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა და სახელწოდება;

ბ) არჩევნების დასახელება და ოქმის შედგენის თარიღი;

გ) ამომრჩეველთა რაოდენობა სიების მიხედვით;

დ) არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა (ხელმოწერების ჯამი);

ე) საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;

ვ) ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;

ზ) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;

თ) კომისიის წევრების ხელმოწერა;

ი) კონსერვატორიის ბეჭდი.

8. საარჩევნო კომისიის ყველა წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

9. თუ საარჩევნო კომისიის წევრი არ ეთანხმება არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში შეტანილ მონაცემებს, მას უფლება აქვს, ოქმს წერილობით დაურთოს განსხვავებული აზრი.

10. საარჩევნო ბიულეტენები და ამომრჩეველთა სიები ილუქება და დაუყოვნებლივ გადაეცემა კონსერვატორიის კადრების განყოფილებას.

მუხლი 11. დამკვირვებელი

1. არჩევნების პროცესზე დაკვირვების მიზნით, დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად, ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილნი არიან არჩევნებამდე არა უგვიანეს 3 დღით ადრე მიმართონ საარჩევნო კომისიას.

2. იურიდიული პირი, არჩევნებში დაკვირვებას ახორციელებს წარმომადგენლის მეშვეობით, რომელთა ვინაობა მიეთითება დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად წარდგენილ განცხადებაში.

3. პირი არ დაიშვება დამკვირვებლად, თუ იგი არის:

ა) ასარჩევი კანდიდატი;

ბ) ადმინისტრაციული პერსონალი;

გ) ამომრჩეველი.

4. დამკვირვებელი უფლებამოსილია დაესწროს საარჩევნო კომისიის მუშაობას არჩევნების დღეს და საჩივრის განხილვის პროცესს. ასევე, დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარეს მოთხოვოს დარღვევის აღმოფხვრა.

5. დამკვირვებელს არა აქვს უფლება ჩაერიოს საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში.

6. საარჩევნო კომისია ვალდებულია შექმნას ყველა პირობა იმისათვის, რომ დამკვირვებელს შეეძლოს საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება.

მუხლი 12. განცხადება/საჩივარი

1. არჩევნების დღეს, კენჭისყრის, ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დარღვევის შესახებ განცხადება/საჩივარი შედგენილ უნდა იქნეს ამ წესის დარღვევის შემჩნევისთანავე.

2. საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის შეტანის უფლება აქვს:

ა) დამკვირვებელს;

ბ) კანდიდატს;

გ) ამომრჩეველს.

3. განცხადება/საჩივარში აღინიშნება:

ა) განცხადების/საჩივრის შედგენის თარიღი და დრო;

ბ) განმცხადებლის/მომჩივნის სახელი, გვარი და რეგისტრაციის ადგილი;

გ) სტატუსი;

დ) დარღვევის არსი და მისი ჩადენის დრო;

ე) მოთხოვნა;

ვ) ხელმოწერა;

ზ) დამატებითი ინფორმაცია.

4. ამ წესის, ამ მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის და მე-3 პუნქტის „ ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პროცედურების დარღვევით წარდგენილი განცხადება/საჩივარი არ განიხილება და საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გამოსცემს განკარგულებას განცხადება/საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

5. არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში დამკვირვებელს, კანდიდატს, ამომრჩეველს, უფლება აქვს გაასაჩივროს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი. ამ ვადის აღდგენა დაუშვებელია. ამ წესის, ამ მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის და მე-3 პუნქტის „ ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პროცედურების დარღვევით წარდგენილი განცხადება/საჩივარი არ განიხილება და საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გამოსცემს განკარგულებას განცხადება/საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

6. საარჩევნო კომისია ვალდებულია არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმთან დაკავშირებული საჩივარი განიხილოს 2 დღის ვადაში და მიიღოს გადაწყვეტილება.

მუხლი 13. არჩევნების მეორე ტური

1. თუ არჩევნების პირველ ტურში, ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, ინიშნება არჩევნების მეორე ტური.

2. არჩევნების მეორე ტურს ნიშნავს კონსერვატორიის აკადემიური საბჭო დადგენილებით.

3. არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობის უფლება აქვს პირველ ტურში საუკეთესო შედეგების მქონე 2 კანდიდატს. თუ პირველ ტურში პირველის შემდგომი უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატებს ხმათა თანაბარი რაოდენობა აქვთ მიღებული, მეორე ტურში მონაწილის ვინაობა ვლინდება წილიყრით.

4. არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს.

5. არჩევნების მეორე ტურში კანდიდატების მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში მეტი ხმა მიიღო. თუ ხმათა ეს რაოდენობებიც ტოლი აღმოჩნდა, გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია. თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი.

მუხლი 14. არჩევნების შედეგების გამოცხადება

1. საარჩევნო კომისია არჩევნების შედეგებს ამტკიცებს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმით.

2. არჩევნების შედეგები ცხადდება არჩევნების დღეს და ძალაში შედის საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე.